ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3324974

ნომერი: AR1509862

თარიღი : 31.05.2017

გაცემის თარიღი : 14.06.2017

გაცნობის თარიღი : 14.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გამყრელიძე პ/ნ 01009016937
- თბილისი. ზ. ფალიაშვილის ქ 39 ბ19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის #3291874 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურს 2017 წლის 31 მაისს №AR1509862 განცხადებით მომართა ირაკლი გამყრელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 30 მაისის #3291874 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 30 მაისის #3291874 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, მოედანი გულია, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. #8/85) ქ. თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.18.05.008.140), მრავალფუნქციური შენობის შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 01 სექტემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომების გასწორება, კერძოდ, ჩანაწერის „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 01 სექტემბრის ჩათვლით“ ნაცვლად, დაფიქსირდეს ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 30 მაისიდან 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით“

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 30 მაისის #3291874 ბრძანებასთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის #3291874 ბრძანებაში და დაფიქსირდეს ჩანაწერი: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 30 მაისიდან 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით“. სამსახურის 2017 წლის 30 მაისის #3291874 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის #3291874 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.